

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ენათა ცენტრის ხელმძღვანელის ასოც. პროფესორ ნათია ზვიადაძის ანგარიში

მუდმივად მიმდინარეობს უცხო ენების სასწავლო კურსების დახვეწა-გაუმჯობესება. ბოლო 7 წლის მანძილზე, 2011-2012 სასწავლო წლის შემდეგ, სამჯერ მოხდა ინგლისური ენის კურსის ძირითადი სახელმძღვანელოების შეცვლა სტუდენტზე და კურსის სასწავლო მოცულობაზე ორიენტირებულად.

ყოველი ცვლილება, რაც იგეგმება და ხორციელდება უცხო ენების სწავლებასთან დაკავშირებით ეყრდნობა კონკრეტული კვლევების ანალიზს. მათ შორის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით პირველკურსელთა გამოკითხვა უცხო ენების საუნივერსიტეტო კურსთან დაკავშირებით (2011-2012 სასწ. წწ.), ენათა ცენტრის მიერ მომზადებული კვლევა „გაუსის განაწილების“ გამოყენებით ფაკულტეტების მიხედვით (2013-2014, 2014-2015 სასწავლო წლების მონაცემებზე დაყრდნობით). სტანდარტთან მიმართებაში მიღებული ცდომილების დეტალური ანალიზის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა განმაპირობებელი ფაქტორები. ჩატარებული კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით დაიგეგმა და განხორციელდა ცვლილებები უცხო ენების საუნივერსიტეტო კურსების სწავლების გაუმჯობესების მიზნით. (იხ. დანართი № 1).

2016-2017 სასწავლო წელს განხორციელდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტი სახელწოდებით „სწავლების პროცესის გაუმჯობესება როგორც მონიტორინგის შედეგი“. პროექტის მიზანი იყო ინგლისური ენის სწავლების კუთხით არსებული მეთოდური საჭიროებების გამოვლენა. პროექტი განახორციელა ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის მეთოდურმა ჯგუფმა. სამიზნე ჯგუფი იყო როგორც ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის, ისე აწსუ ენათა ცენტრის აკადემიური პერსონალი. პროექტის მიმდინარეობის ფარგლებში ჯგუფი დაესწრო სულ 30 პრაქტიკულ მეცადინეობას. შედეგების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა კონკრეტული სტრატეგია ინგლისური ენის სწავლების განვითარების კუთხით.

აღნიშნული სტრატეგიის თანახმად, მოხდა ინგლისური ენის საუნივერსიტეტო კურსის მოდერნიზება. კერძოდ, 2017-2018 სასწავლო წელს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ენათა ცენტრისა და ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის ინიციატივით, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის უშუალო ჩართულობით და ფაკულტეტების ფინანსური მხარდაჭერით განახლდა ინგლისური ენის რამდენიმე სასწავლო კურსი, რაც ითვალისწინებს სწავლების შერეულ მეთოდზე (Blended Method) გადასვლას. აღნიშნული მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს ინფორმაციული-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შერეული სწავლების საერთო ბლოკში გაერთიანებაში, რაც ხელს უწყობს კომუნიკაციური მიდგომით სწავლების ეფექტურ წარმართვას და სწავლების შედეგზე გასვლის საუკეთესო საშუალებას იძლევა. შექმნილ იქნა გამომცემლობის „Pearson Publishing“ უახლესი სახელმძღვანელოები (Speakout intermediate with MyEnglishLab, Speakout pre-intermediate with MyEnglishLab, New Language Leader with MyEnglishLab). „Language Lab“-ის თანხლება სახელმძღვანელოებს გაცილებით უფრო ეფექტურს და კომფორტულს ხდის. იგი ასევე მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის კვლევის თვალსაზრისით. მათ შორის: სტატისტიკური, ხარისხობრივი, მეთოდური ანალიზის კუთხით.

პროექტის ფარგლებში გადამზადდნენ ინგლისური ენის პედაგოგები ტექნიკური და მეთოდური კუთხით. მიმდინარე წლის მანძილზე საფაკულტეტო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტის „შერეული მეთოდით სწავლების შედეგების ანალიზი სწავლების ტრადიციულ ფორმებთან მიმართებაში“ ფარგლებში იგეგმება ინგლისური ენის შერეული მეთოდით სწავლების შედეგების კვლევა ხარისხობრივი და მეთოდური თვალსაზრისით. პროექტის ფარგლებში მოხდება დაკვირვება პრაქტიკულ მეცადინეობებზე და იმ დადებითი ან შესაძლოა, პრობლემური მხარეების გამოვლენა, რაც აღნიშნულ კურსთან ადაპტაციას უკავშირდება. ასევე მოხდება სტუდენტებისა და პედაგოგების გამოკითხვა კურსის სწავლების შემდგომი სტრატეგიის განსაზღვრის მიზნით.

ამ კუთხით მუშაობა უკვე დაწყებულია და პირველადი მონაცემები უკვე სახეზეა. კერძოდ, ჩატარდა პედაგოგთა ონლაინ გამოკითხვა, რომელის შედეგები მუშავდება და პირველადი ანალიზის საფუძველზე უკვე ცვლილება დაიგეგმა კურსის შეფასების „აქტიურობის“ კომპონენტში. აღნიშნული გამოკითხვა შედგებოდა ჯამში 25 შეკითხვისაგან, მათ შორის 18 დახურული და 7 ღია ტიპის შეკითხვა. (იხ. დანართი № 2).


ასევე ხელმისაწვდომია სტუდენტთა პირველი სემესტრის დამოუკიდებელ მუშაობასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები. დიაგრამის სახით წარმოდგენილია სხვადასხვა ენობრივ კომპეტენციაში მიღებული საშუალო პროცენტული მაჩვენებელი კურსების მიხედვით. (იხ. დანართი № 3).

მიმდინარე კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება შემდგომი სტრატეგია უცხო ენების სწავლების კუთხით გამოვლენილი გამოწვევების დასაძლევად.


დანართი №1

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი


უცხო ენა 1 (A1.1)




უცხო ენა 1 (A2-1)




უცხო ენა 2 (A1.2)




უცხო ენა 2 (A2.2)



უცხო ენა 3 A2.1




უცხო ენა 3 B1.1




ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი


უცხო ენა 1 (A2.1)




უცხო ენა 1 (B1.1)




უცხო ენა 2 A2.2




უცხო ენა 2 (B1.2)



უცხო ენა 3 (B1.1)




უცხო ენა 3 (B2.1)




ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი


უცხო ენა 1 (A2.1)



უცხო ენა 2 A2.2




უცხო ენა 3 (B1.1)




პედაგოგიური ფაკულტეტი


უცხო ენა 1 (A1.1)




უცხო ენა 1 (A2.1)




უცხო ენა 2 A1.2




უცხო ენა 2 (A2.2)



უცხო ენა 3 (A2.1)




უცხო ენა 3 (B1.1)




მედიცინის ფაკულტეტი


უცხო ენა 1 (A2.1)



უცხო ენა 2 A2.2




უცხო ენა 3 (B1.1)




საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტი


უცხო ენა 1 (A2.1)



უცხო ენა 2 A2.2




უცხო ენა 3 (B1.1)




საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტი


უცხო ენა 1 (A2.1)



უცხო ენა 2 A2.2




უცხო ენა 3 (B1.1)




აგრარული ფაკულტეტი


უცხო ენა 1 (A2.1)



უცხო ენა 2 A2.2






უცხო ენა 3 (B1.1)



დანართი №2

პედაგოგთა გამოკითხვა

გამოკითხვაში მონაწილეთა რაოდენობა: 20 პედაგოგი;



შეკითხვები:

1. პროგრამა არის მომხმარებელზე მორგებული. ონლაინ კურსში ნავიგაცია მარტივია;
2. პროგრამა ინტერაქტიულია;
3. პროგრამა ტექნიკურად მარტივად სამართავია;
4. კურსის მასალები მოსახერხებელ ფორმატშია მოცემული;
5. სასწავლო აქტივობები მიზნებს გამოვიყენო არსებული სასწავლო მასალა და რესურსები;
6. სასწავლო აქტივობები მიზნებს მოვძებნო დამატებითი მასალა;
7. ონლაინ პროგრამული მხარდაჭერა გამოსადეგია;
8. კურსის ადმინისტრატორი ეფექტურ მიმართულებას იძლევა;
9. ონლაინ აქტივობები მეხმარება ვუბიძგო სტუდენტებს ინტერაქციისკენ;
10. ონლაინ აქტივობები სწრაფი უკუგების საშუალებას მაძლევს;
11. ონლაინ დავალებები ზოგავს მასწავლებლის საგაკვეთილო დროს;
12. ონლაინ კურსი სწავლის პროცესს უფრო საინტერესოს ხდის და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას;
13. ონლაინ დავალებების რაოდენობის განსაზღვრა მარტივად სამართავია;
14. აქტივობები საშუალებას მაძლევს მივაღწიო დასახულ მიზნებს;
15. ელექტრონული შეფასება ხელს უწყობს საგნის შესწავლას;
16. კურსი უზრუნველყოფს ავთენტურ მასალაზე მარტივ და ხშირ წვდომას;
17. კურსი ეხმარება სტუდენტს თავად მართოს შესწავლის პროცესი;
18. კურსი ეხმარება სტუდენტს განივითაროს პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევები, რაც მათთვის პროფესიული კუთხით იქნება სასარგებლო.

კომენტარები

<p>კურსის საუკეთესო მხარეებია:</p>	<ul style="list-style-type: none"> • საგაკვეთილო დროის დაზოგვა; • სწრაფი უკუგება; • ინტერაქტიული დავალებები; • მიზნობრივი ლექსიკის გამდიდრება; • ავთენტური მასალა; • ზეპირი კომუნიკაციის მეტი შესაძლებლობა; • შეფასების მომენტალური საშუალება; • შეცდომების ზუსტი იდენტიფიცირება; • დავალების გასწორების საიმედოობა და გამჭვირვალობა; • დავალებების შეფასებისას მასწავლებლის მიერ დაშვებული მექანიკური შეცდომების გამორიცხვა;
<p>როგორ შეიძლება კურსის გაუმჯობესება:</p>	<ul style="list-style-type: none"> • საგაკვეთილო საათების ინტენსივობის გაზრდა; • პროდუქტიული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის ინტერაქტიული დავალებების დამატების პროგრამული უზრუნველყოფა; • ელექტრონული პორთფოლიოს შექმნა; • მობილური აპლიკაციის გაუმჯობესება; • რაიმე მექანიზმით სტუდენტის ავთენტურობის დადასტურება;
<p>რა გამოწვევები გამოიკვეთა ელექტრონული შეფასების დროს</p>	<ul style="list-style-type: none"> • ტექნიკური შეფერხებები; • სტუდენტთა დროული რეგისტრაცია;

<p>როგორც სტუდენტის, ისე მასწავლებლისთვის?</p>	<ul style="list-style-type: none"> • არასათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიები; • ონლაინ დავალებების შესრულების კომპონენტის ასახვა სტუდენტის აქტივობის შეფასებაში;
<p>როგორ შეცვალა სწავლა-სწავლების პროცესი სწრაფმა უკუგებამ?</p>	<ul style="list-style-type: none"> • პროცესი უფრო მოქნილია; • სწავლა-სწავლების პროცესში იზოგება გარკვეული დრო, რაც კომუნიკაციური დავალებების შესრულებაზე იხარჯება; • მასწავლებელი ზუსტად და კონკრეტულად იმ დავალებების უკუგებაზეა ორიენტირებული, რაშიც სტუდენტებმა შეცდომები დაუშვეს;
<p>არის თუ არა შესაბამისობაში შეფასების ონლაინ და არაონლაინ კომპონენტები?</p>	<ul style="list-style-type: none"> • სრულ შესაბამისობაშია;
<p>რამდენ პროცენტს დაუთმობდით ელ. შეფასებას სტუდენტთა საერთო შეფასების აქტივობის კომპონენტში?</p>	<ul style="list-style-type: none"> • 5%-15%
<p>თქვენი რეკომენდაციები:</p>	<ul style="list-style-type: none"> • საჭიროა შემუშვდეს მექანიზმი ნაკლებად აქტიური სტუდენტების ჩართულობის გასაზრდელად; • სასურველი იქნება კვირეული დატვირთვის გაზრდა; • საჭიროებისამებრ შედეგების განულება და თავიდან დაწყება, ისე, რომ სტუდენტის წინა შედეგი არ დაიკარგოს; • სასურველია ჩატარდეს ტექნიკური სახის ტრენინგი სტუდენტებისათვის კურსის დასაწყის წინ; • სასურველია აუდიტორიები ტექნიკურად იყოს აღჭურვილი კომპიუტერებით, პროექტორით და მოსასმენი აპარატურით; • კარგი იქნება უცხოელი კოლეგების გამოცდილების გაზიარება აღნიშნულ კურსთან დაკავშირებით;

დანართი №3

I სემესტრის დამოუკიდებელი მუშაობის შედეგები:

